წლიური ანგარიში

2024

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2024

ანგარიში მომზადებულია უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

დიზაინი: ირმა მამასახლისი

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

2025

სარჩევი

I. **სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნა 5**
- რეპრესიული კანონი 5
- სამართლებრივი ბერკეტები რეპრესიული კანონის წინააღმდეგ 6
- ფაზები დისკრედიტაციიდან ფიზიკურ ძალადობამდე 7

II. **2024 წლის საპარლამენტო არჩევნები 9**
- წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს გამოვლენილი დარღვევები 9
- არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები 12

III. **შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 14**
- შეკრების თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 14
- პროტესტის მონაწილეთა უკანონო დაკავების პრაქტიკა 17
- მოძალადე საპოლიციო ძალების გამოვლენა და ბრალდება 21

IV. **მედია და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა 22**
- მედიაგარემო 22
- მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა 22

V. **სასამართლო ხელისუფლება 25**
- სასამართლო სისტემა 25
- საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესები 27

VI. **თანასწორობის უფლება 28**
- ქალთა უფლებრივი მდგომარეობა 29
- ბავშვთა უფლებების დაცვა 29
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 31
- ხანდაზმული და უსახლკარო პირები 31
- უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფები 32

VII. **ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ 33**

VIII. **საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა 34**

IX. **საერთაშორისო გამოხმაურება საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 36**
- საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე 36
- უფლება თავისუფალ არჩევნებზე 36
- სანქციები 37

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. მასში აისახა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე.

ანგარიში ეყრდნობა უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრის, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ცნობებსა და შეფასებებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები, რაც დამოკიდებულია მართლმსაჯულების სისტემის, საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების ეფექტურობაზე.

ანგარიშში მიმოხილულია საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გამოხატული მისწრაფებები, სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების საქმიანობა და ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 2024 წელს ქვეყნის დემოკრატიულ უკუსვლაზე; საპარლამენტო არჩევნებზე; სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნაზე; საპროტესტო აქციებთან დაკავშირებულ მოვლენებსა და ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობებზე.

შესავალი

2024 წელს მიღებულმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსულმა კანონმა სამოქალაქო ორგანიზაციების და მედიის სტიგმატიზაციასთან ერთად, შეაფერხა ქვეყნის დემოკრატიული წინსვლა. ამ კანონის გასაუქმებლად სამოქალაქო სექტორმა ყველა სამართლებრივი საშუალება გამოიყენა. თუმცა, ქვეყანაში „შიდა მტრის“ გამოგონილი ნარატივი, თავდაპირველად უცხოური ნომრებიდან შემოსულ სატელეფონო მუქარებში, ხოლო შემდეგ - უფლებადამცველებსა თუ აქტივისტებზე ფიზიკურ თავდასხმებსა და საპროტესტო აქციებზე რეპრესიული კანონის მოწინააღმდეგეთა ანგარიშსწორებაში გამოიხატა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, მაგრამ სასამართლო სისტემის მიკერძოებულობამ გაართულა არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების სამართლიანი განხილვა.

წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს არაერთხელ მოჰყვა მოქალაქეთა მხრიდან უპრეცედენტო მასშტაბის პროტესტი, მაგრამ მათ წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან არაპროპორციული ძალა იქნა გამოყენებული და არაერთი არასათანადო მოპყრობის შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის, 2024 წელს განსაკუთრებით გახშირდა ჟურნალისტებზე თავდასხმები და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა. ამის მიუხედავად, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას ჯერ კიდევ არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია აქციებზე მოძალადე საპოლიციო ძალების წარმომადგენლების გამოვლენისა და ბრალდების შესახებ. რაც, დაუსჯელობის სისტემურობაზე მიუთითებს. ამასთან, სასამართლო ხელისუფლების მიკერძოებულობამ, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო არაერთი პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოხსენებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო თითოეული სოციალური ჯგუფის უფლებრივ უკუსვლას. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში გენდერული კვოტების გაუქმებამ და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებმა გაამწვავა გენდერული უთანასწორობა; კვლავ პრობლემად დარჩა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევები; ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები კვლავ დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან; მძიმეა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ.

ქვეყნის დემოკრატიულმა უკუსვლამ და ევროკავშირის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შეუსრულებლობამ შეაფერხა ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი. საერთაშორისო ორგანიზაციებმა წლის განმავლობაში მრავალჯერ გამოხატეს შეშფოთება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევების გამო.

I. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნა

- რეპრესიული კანონი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ხელისუფლების უკანონო ქმედებების მხილებისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსულმა კანონმა მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარგინალიზებასთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული სივრცისგან ჩამოშორებაში პირველადი წვლილი შეიტანა. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, ძალადობის, კორუფციის, უკანონობისა და შერჩევითი სამართლის ასობით ფაქტის მხილების გამო მათი დასჯის მიზნით საქართველოს პარლამენტში 2023 წელს დარეგისტრირდა კანონპროექტები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“,[1] რათა „უცხოური გავლენის აგენტებად“ დარეგისტრირებულიყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც დაფინანსების ნაწილს უცხოეთიდან იღებდნენ.[2] მასშტაბური საპროტესტო აქციების შემდეგ, პარლამენტმა აღნიშნული კანონის მიღებისგან თავი შეიკავა.[3] თუმცა, 2024 წლის 14 მაისს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მაინც მიიღო.[4]

მაისში მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ - რუსული კანონის რეალურ მიზანს კრიტიკული ხმის ჩახშობა და იარლიყების მიკვრით, ორგანიზაციების სტიგმატიზაცია წარმოადგენს. დაფინანსების მოძიების გამო ორგანიზაციების გამოყოფა და მათი უცხოური ინტერესების გამტარებლად შერაცხვა, რეპუტაციას ულახავს მათ და მიმართულია სიტყვის თავისუფლების ჩახშობისკენ. ასეთი რისკები მით უფრო მაღალია იმ ორგანიზაციებისა და მედიების შემთხვევაში, რომლებიც მთავრობის მიმართ კრიტიკულ მოსაზრებებს გამოხატავენ.[5] ამ გზით, საქართველოს ხელისუფლებამ

---

[1] სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება; „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი“; 21.02.2023; (ბოლო ნახვა: 20.12.2023); იხ. https://www.hrc.ge/470/geo/

[2] რადიო თავისუფლება - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო; 07.03.2023; იხ. ბმული

[3] ინტერპრესნიუსი; „პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო“, 10.03.2023 (ბოლო ნახვა: 18.12.2023); იხ. ბმული

[4] CDL-PI(2024)013; EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUG LA (VENICE COMMISSION) GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024; პარა. 7-17; იხ. ბმული; ინტერპრესნიუსი; პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი საბოლოო მოსმენით მიიღო; 14.05.2024; იხ. ბმული

[5] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; „რეპრესიული კანონი და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიგმატიზაცია; 2024; იხ. ბმული

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 9 დათქმის შესრულებასაც გადაუხვია, რადგან ევროკავშირისკენ მიმავალი ერთ-ერთ ნაბიჯი სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერებას გულისხმობდა.

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაცია რეპრესიული კანონმდებლობის მიღებამდე დაიწყო. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად კანონპროექტის უკან გაწვევისა, საქართველოში უფლებადამცველთა უფლებების დარღვევის ტენდენციებს უკვე შემაშფოთებელი სახე ჰქონდა. ამიტომ, მნიშვნელობა არა კანონის მიღება-არმიღებას, არამედ უფლებადამცველთათვის უკვე დამდგარი ზიანის გამოსასწორებლად ხელისუფლების მიერ პროაქტიული ნაბიჯების გადადგმას ჰქონდა.[6] თუმცა, შემდგომ პერიოდში ამ კუთხით მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

- სამართლებრივი ბერკეტები რეპრესიული კანონის წინააღმდეგ

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არ დაემორჩილებოდნენ რუსულ კანონს.[7] სამოქალაქო სექტორმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ - რუსული კანონის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლებრივ ფორმატში გადაიტანა და 2024 წლის მაისში დააანონსა, რომ ყველა შიდა და საერთაშორისო მექანიზმს გამოიყენებდა კანონის გასაუქმებლად.[8] 2024 წლის 18 ივნისს 121-მა ქართულმა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და ამასთან, დროებითი ღონისძიების სახით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის არაკონსტიტუციური ნორმების ამოქმედების შეჩერებაც მოითხოვა. საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტარებმაც მიიღეს კანონის გასაჩივრების გადაწყვეტილება

[6] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi- 7 November 2023; para 12, 19, 20; იხ ბმული

[7] ერთობლივი განცხადებები; „ხელისუფლების ანტიევროპული განცხადებები ქართველი ხალხის ნებას და საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“; 13.04.2024; იხ. ბმული; „სამოქალაქო პლატფორმა მშვიდობისთვის - განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით“; 13.04.2024 იხ. ბმული; „რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას“; 25.04.2024; იხ. ბმული; „ხელისუფლების ძალადობა ვერ შეაჩერებს ქართველი ხალხის სწრაფვას ევროპული მომავლისკენ“; 09.05.2024; იხ. ბმული; „რუსულ კანონი უპირობოდ უნდა იქნას გაწვეული“; 12.05.2024; იხ. ბმული; „რუსულ კანონს არ დავემორჩილებით“; 29.05.2024; იხ. ბმული

[8] განცხადება; ვაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას რუსული კანონის წინააღმდეგ; 30.05.2024; იხ. ბმული

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებაში, რაც საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრების ქვაკუთხედად მოიაზრება.[9]

საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ შეძლო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, ვერ დაიცვა საქართველოს კონსტიტუცია და მოექცა მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ, როცა მან არ შეაჩერა რუსული კანონის მოქმედება და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას.[10]

2024 წლის ოქტომბერში, 16 მედიის ორგანიზაციის, 120 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და 4 ფიზიკური პირის სახელით კანონთან დაკავშირებით მომზადდა და გაიგზავნა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.[11] ნოემბერში კი სასამართლომ რუსული კანონის წინააღმდეგ საჩივარი წარმოებაში დაარეგისტრირა.[12]

- ფაზები დისკრედიტაციიდან ფიზიკურ ძალადობამდე

წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკის ფონზე, კარგი ნიადაგი შეიქმნა ასეთი ორგანიზაციებისა და კრიტიკული აზრის მქონე პირთა დევნის განსახორციელებლად.

დევნის პირველ ფაზაში ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კრიტიკული აზრის მქონე პირთა დისკრედიტაცია ფრაზებით „ეკლესიის მტრები“; „ლგბტ პროპაგანდისტები“ და ა.შ. ცილისწამებას თან ერთვოდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ განხორციელებული დაშინების, შევიწროებისა და მუქარის ფაქტები.[13] დევნის მეორე ფაზაში, 2024 წლის 7 მაისის შემდეგ დაუდგენელი ნომრებიდან მუქარის შემცველ და შეურაცხმყოფელ ზარებს გამუდმებით იღებდნენ რეპრესიული კანონის წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები.[14] შემდეგ ეტაპზე, უკვე დაიწყო სახლებსა და ოფისებზე სიძულვილის გრაფიტების

---

[9] რუსული კანონის წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლა საკონსტიტუციო სასამართლოში გაგრძელდება; 18.07.2024; იხ. ბმული

[10] ერთობლივი განცხადება; საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი მოვალეობა არ შეასრულა; 10.10.2024; იხ. ბმული

[11] ერთობლივი განცხადება; სამართლებრივი ბრძოლა რუსული კანონის წინააღმდეგ სტრასბურგში გაგრძელდება; 17.10.2024; იხ. ბმული

[12] ნეტგაზეთი; „სტრასბურგის სასამართლომ რუსული კანონის წინააღმდეგ საჩივარი დაარეგისტრირა“ ; 13.11.2024; იხ. ბმული

[13] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi- 7 November 2023; Para 36, 55-60; იხ ბმული

[14] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ერთობლივი განცხადება - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორია / ადამიანის უფლებათა ცენტრი; უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში; 26.06.2024; იხ. ბმული

გაკვრა, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმა. მაგალითად, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის კარზე და კედლებზე პირველ ჯერზე განათავსეს წევრი ორგანიზაციების დირექტორების პოსტერები წარწერით „აგენტურა“, „ქვეყნის დამანგრევლები“ და სხვა. ხოლო, მეორე ჯერზე, შენობის ფასადზე, ღობეზე, ჭიშკარსა და ასფალტზე განათავსეს შეურაცხმყოფელი გრაფიტები და წარწერები.[15] ამ ძალადობას ახალისებდა და სავარაუდოდ - ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“.[16] დევნის ბოლო ეტაპზე დაიწყო ფიზიკური ანგარიშსწორება. მაგალითად, 5-11 მაისს: რამდენიმე ადამიანმა სცემა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელ პედაგოგს საკუთარი შვილის თანდასწრებით[17]; ქუჩაში დაესხნენ თავს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” აღმასრულებელ დირექტორსა და ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფს[18]; სახლთან ახლოს სასტიკად სცემეს „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ბაიკერების მარშის ორგანიზატორს[19]; ფიზიკურად გაუსწორდნენ „თბილისი პრაიდის“ თანადირექტორის მამას[20]; ფიზიკურად იძალადეს ოპოზიციური პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერის ძმაზე,[21] 11 ივნისს კი, საკუთარ სახლთან დაესხნენ თავს მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტს.[22] ამგვარად, მასშტაბური სახე მიეცა კრიტიკული აზრის მქონე პირთა და უფლებადამცველთა დევნას, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებაა. თუმცა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა გამოძიების უმოქმედობამ.[23]

წლის ბოლოს, დემონსტრანტების, უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკური აქტივისტების შევიწროების შემთხვევები იყო პირად სივრცეში. ცალკეულ პირებს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, არაიდენტიფიცირებადი პოლიციელები, ან ზონდერების („ტიტუშკების“) სახელით ცნობილი ორგანიზებული ჯგუფები ესხმოდნენ თავს, სავარაუდოდ, განსხვავებული აზრის

---

[15] იქვე;

[16] ნეტგაზეთი; „დეპუტატი სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორია”; 31.05.2024; იხ. ბმული; ასევე, იხ. ფეისბუქ პოსტის ბმული

[17] Civil Georgia; 700-ზე მეტი მასწავლებელი კოლეგაზე თავდასხმის ‘დროულ და ეფექტურ’ გამოძიებას ითხოვსიხ. 07.05.2024; ბმული

[18] რადიო თავისუფლება; „ფორმულის“ გადამღებ ჯგუფსა და IDFI-ის დირექტორს თავს დაესხნენ”; 07.05.2024; იხ. ბმული

[19] ფორმულა; „ბაიკერ ლაშა ღვინიანიძეს თავს დაესხნენ. ღვინიანიძე რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორია”; 08.05.2024; იხ. ბმული

[20] რადიო თავისუფლება; „ჩემი 73 წლის მამა მიცემეს!“ - წერს ანა სუბელიანი;11.05.2024; იხ. ბმული

[21] რადიო თავისუფლება;„თავს დაესხნენ „აგენტების კანონის“ კიდევ ერთ მოწინააღმდეგეს - გია ჯაფარიძეს”; 09.05.2024; იხ. ბმული

[22] რადიო თავისუფლება; „სამოქალაქო აქტივისტს ზუკა ბერძენიშვილს თავს დაესხნენ”; 11.06.2024; იხ. ბმული

[23] უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; „სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა“; 2024; იხ. ბმული

დევნისა და შიშის დათესვის მიზნით.[24] ასევე, პოლიციამ დეკემბერში დაიწყო პოლიტიკური პარტიების ოფისებისა და სამოქალაქო აქტივისტების ბინების ჩხრეკა.[25]

II. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები

- წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს გამოვლენილი დარღვევები

2024 წელს საპარლამენტო არჩევნებს საქართველო მნიშვნელოვანი სიახლით შეხვდა, რაც გულისხმობს, რომ ამომრჩეველთა 90%-ზე მეტს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებული 3031 უბნიდან 2263 უბანზე ხმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიეცა.[26]

2024 წლის 26 ოქტომბერს წინასაარჩევნოდ და კენჭისყრის დღეს არსებულმა დარღვევების მასშტაბმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობა და ლეგიტიმურობა. განსაკუთრებით გამწვავდა პოლიტიკური პოლარიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტიის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" (ე.წ. რუსული კანონი) კანონის მიღებითა და არჩევნების შემდეგ ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ გაკეთებული განცხადებებით.[27] წინასაარჩევნო პერიოდში დაბრკოლებები შეექმნა სამოქალაქო აქტივიზმსა და საარჩევნო კამპანიას, იყო ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც. პრობლემური იყო მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპისა" და სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიმართ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოკლებული იყო დასაბუთებას და მიმართული იყო სამოქალაქო აქტივიზმისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის საქმიანობის შეფერხების ან დისკრედიტაციისკენ.[28]

---

[24] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

[25] რადიო თავისუფლება; უფლებადამცველები მოქალაქეებს ურჩევენ, როგორ მოიქცნენ ჩხრეკის შემთხვევაში; 04.12.2024; იხ. ბმული

[26] ინტერპრესნიუსი; „ელექტრონული არჩევნები საქართველოში - რა უნდა ვიცოდეთ მოახლოებული არჩევნების შესახებ?" ; 22.10.2024; იხ. ბმული

[27] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი; „წინასაარჩევნოდ და კენჭისყრის დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა"; 22.11.2024; იხ. ბმული

[28] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „2024 წლის საპარლამენტო არჩევნების

წინასაარჩევნო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტები გათვლილი იყო ამომრჩეველთა ფართო მასების კეთილგანწყობის მოპოვებაზე. ამ პერიოდში „ქართული ოცნების“ რიტორიკაში გაძლიერდა ფსევდო რელიგიურ-ეროვნული სენტიმენტები. სავარაუდოდ, მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მრევლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, საქართველოს საპატრიარქოს ერთ ლარად გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობები. ამის პარალელურად, 2024 წლის აგვისტოში, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სკოლის დირექტორები. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებსა და სკოლების/ საბავშვო ბაღების პედაგოგებს - ისინი, მათ შორის, სამუშაო საათებშიც მიჰყავდათ პარტიულ ღონისძიებებზე, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს.[29]

საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღე - 26 ოქტომბერი მძიმე დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ინფორმაციით, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას საარჩევნო უბნებზე დაირღვა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ფუნდამენტური პრინციპები. ასეთი დარღვევებით გამოირჩეოდა საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, სადაც სხვადასხვა სოფლებში განხორციელებული საარჩევნო მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ამომრჩევლებზე საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ სისტემური ზეწოლა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და ამომრჩეველთა მხრიდან თავისუფალი ნების გამოხატვაში ხელშეშლა. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის დამკვირვებლებმა დაინახეს, როგორ არღვევდნენ კანონს არაუფლებამოსილი პირები, რომლებიც უბანზე შესვლამდე ამომრჩევლებს აძლევდნენ პატარა ფურცლის ნაგლეჯებს, სადაც ხელით იყო გაკეთებული ჩანაწერები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება, ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა, კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნები სისტემატურად ირღვეოდა, რამაც გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზეც. მაგალითად, სისტემატური იყო არაუფლებამოსილი პირების ყოფნა საარჩევნო უბნების მიმდებარედ. ისინი ზოგჯერ მოქმედებდნენ როგორც ორგანიზატორები, გასცემდნენ დავალებებს, ტრანსპორტით მოჰყავდათ ამომრჩევლები, აძლევდნენ მითითებებს, საარჩევნო უბნის შიგნით თანამშრომლობდნენ „ქართული ოცნების“ დამკვირვებლებთან ან საარჩევნო კომისიის წევრებთან, არღვევდნენ ხმის მიცემის ფარულობას და ხელს უშლიდნენ ამომრჩევლებს

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში“; 2024; გვ. 7-12; იხ. ბმული

[29] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი; „წინასაარჩევნოდ და კენჭისყრის დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა“; 22.11.2024; იხ. ბმული

თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი არჩევანი. მართალია, მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები, მაგრამ არც ისინი და არც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ სთხოვდნენ არაუფლებამოსილ პირებს დაეტოვებინათ უბნის მიმდებარე ტერიტორია.[30]

როგორც წესი, საარჩევნო უბანზე რეგისტრატორთა მაგიდები იმგვარად იყო განლაგებული, რომ დამკვირვებლებისთვის პირადობის მოწმობის შემოწმების პროცესი არ ყოფილიყო ხილვადი. ტენდენციის სახე ჰქონდა დამკვირვებლებისადმი მტრულ დამოკიდებულებას, მათთვის შეურაცხყოფის მიყენებას. საარჩევნო უბნიდან მათ გაძევებას ან გაძევების მუქარას. დამკვირვებლებს საქმიანობაში ხელს უშლიდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. იყო შემთხვევები, როცა კომისიის წევრები დამკვირვებლებს უზღუდავდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, მათ შორის, რიგ შემთხვევებში, დამკვირვებლებს ეზღუდებოდათ გადაადგილება, ფოტოს და ვიდეოს გადაღება. ხოლო, საარჩევნო უბანზე მყოფი მიკერძოებული კომისიის წევრები და ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები კიდევ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ, როცა დამკვირვებლებს საჩივრის ან შენიშვნის დაწერა უნდოდათ.[31]

განსაკუთრებულ დარღვევათა შორის ტენდენციის სახე ჰქონდა საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიული კოორდინატორების და აგიტატორების შეკრებას და ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვის სისტემატურ ხელშეშლას ან ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვაზე ზემოქმედებას, რაც, მათ შორის, გამოწვეული იყო ამომრჩეველთა მოყვანის შემდეგ მათთვის პირადობების დარიგებისა და შემოსახაზი სუბიექტის კარნახის ფაქტებით. ასევე, საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიების წარმოების, მათი შემოწმებისა და, რიგ შემთხვევებში, მათთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვით. კენჭისყრის დღეს სისტემატური დარღვევები მოიცავდა: კენჭისყრის კაბინაში ამომრჩევლის მიერ ბიულეტენისთვის ფოტოსურათების გადაღებას; არაუფლებამოსილი პირების მიერ ამომრჩევლებთან კენჭისყრის კაბინაში შეყოლას; რეგისტრატორის მიერ მარკირების ფუნქციის შეუსრულებლობას და ამომრჩევლისთვის 2 ბიულეტენის მიცემას; ნაკადის მომწესრიგებლის მიერ მარკირების შემოწმების ფუნქციის არაჯეროვნად შესრულებას; კომისიის წევრების მიკერძოებულობასა და დარღვევებზე რეაგირების არქონას; უბანზე ფსევდოდამკვირვებელი ორგანიზაციიდან ერთზე მეტი წარმომადგენლის საქმიანობას; გადასატანი ყუთის მთლიანობის

[30] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „ადამიანის უფლებათა ცენტრის და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის განცხადება“; 29.10.2024; იხ. ბმული

[31] უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; “2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიში: ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამოვლენილი საარჩევნო დარღვევები”; იხ. ბმული

დარღვევას და სხვ.[32] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე გავლენა მოახდინა მთელ რიგ საარჩევნო უბნებზე მომხდარმა ძალადობრივმა ინციდენტებმა და დარღვევებმა, რაზეც პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრება, რომლის წარმომადგენლები, უმეტესწილად, სწორედ ამ ქმედებების ინიციატორები ან აქტიური მონაწილეები იყვნენ.[33]

ელექტრონული არჩევნების შემთხვევაში, კერძოდ, 2263 უბანზე, სადაც ამომრჩევლებმა ხმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცეს ყველაზე მთავარ და სისტემურ პრობლემად ხმის ფარულობის დარღვევა დასახელდა როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ისე ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.[34]

ხმის მიცემის ფარულობა საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა.[35] ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ხმის მიცემის აბსოლუტური ფარულობა დაცული უნდა იყოს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის, ბიულეტენის მოთავსების მომენტში.[36] ფარულობის პრინციპი გათვალისწინებულია ევროპული კონვენციითაც, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომ საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფილი იყოს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალი გამოხატვა.[37] ვენეციის კომისია ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში საქართველოს მიუთითებდა, რომ ხმის ფარულობა ელექტრონული არჩევნების შემთხვევაშიც ანალოგიურად უნდა ყოფილიყო დაცული.[38]

- არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ უზრუნველყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს ხმის ფარულობის დაცვა. ერთი

---

[32] იქვე.

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრი; საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე გავლენა მოახდინა ძალადობრივმა ინციდენტებმა და დარღვევებმა - ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასება; 26.10.2024; იხ. ბმული

[34] რადიო თავისუფლება; „მთელი სოფელი 10 წუთში გაიგებდა - ღია დავა საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევაზე“; 01.11.2024; იხ. ბმული

[35] საქართველოს კონსტიტუცია; მ. 24.

[36] CCPR General Comment No. 25: Article 25, The Right to Participate in Public Affairs, Voting Rights and the Right of Equal Access to Public Service Adopted at the Fifty-seventh Session of the Human Rights Committee, on 12 July 19961, CCPR/C/21/Rev.1/Add.7, General Comment No. 25. (General Comments), პარა 20. იხ. ბმული; Existing Commitments for Democratic Elections in OSCE Participating States, OSCE/ODIHR, 2003; იხ. ბმული

[37] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, (მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს), პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

[38] Venice Commission, OSCE/ODIHR, Joint opinion on draft amendments to the Election Code and the Law on Political Associations of Citizens, CDL-AD(2022)047(Strasbourg: Council of Europe, 2022); პარა. 41, იხ. ბმული

მხრივ, საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერები, (რომლებიც უყურებდა რეგისტრატორის მაგიდებს ან კენჭისყრის კაბინას), ხოლო, მეორე მხრივ, ბიულეტენების ხარისხის გამო მის უკანა მხარეს თითოეულ შემთხვევაში რჩებოდა ამომრჩევლის მიერ გაფერადებული წრის კვალი, რომელიც ბიულეტენის მოთავსების პროცესში ხილვადი იყო სხვებისთვისაც. ამ მოცემულობების ერთობლიობით თითოეულ შემთხვევაში შეიქმნა ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მაღალი რისკი და დაირღვა როგორც ხმის ფარულობა, ისე ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წინასწარაც მიმართა ცესკოს ფარულობის დარღვევის რისკებთან დაკავშირებით, ცესკომ არ უზრუნველყო ამ პრობლემის აღმოფხვრა.[39]

29 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიებს წარედგინა საჩივრები, რომლითაც ყველა იმ უბნის (2263) შედეგების ბათილად ცნობა იქნა მოთხოვნილი, სადაც არჩევნები ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.[40] საქართველოს 20-ზე მეტ სასამართლოში, მოსამართლეებმა განიხილეს საოლქო საარჩევნო კომისიების ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა გაასაჩივრეს.[41] ტექნოლოგიური უბნების შედეგების ბათილობა არსებით გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგზე. თუმცა, ხმის ფარულობის დარღვევა მხოლოდ ერთმა მოსამართლემ, ვლადიმერ ხუჭუამ დაადასტურა და განაცხადა: „სასამართლოს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მტკიცებულებების გამოკვლევით, ამ საარჩევნო აპარატით, ამ საარჩევნო ბიულეტენით, ამ საარჩევნო ჩარჩო კონვერტით, ხმის დაცულობის და ხმის ფარულობის გარანტია ამომრჩეველს არ ჰქონდა". ამ გადაწყვეტილებით, მან წალკისა და თეთრიწყაროს ოლქებში შემავალი რამდენიმე ელექტრონული უბნის შედეგები გააბათილა.[42] ამ ნაბიჯის გამო, მოსამართლე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი მედიის, ანონიმური ვებგვერდებისა და სოციალური მედიის ანგარიშების მხრიდან დისკრედიტაციის კამპანიის სამიზნე გახდა.[43] ხოლო,

[39] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „საია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის გამო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული ყველა უბნის (2263 უბანი) შედეგების ბათილად ცნობას ითხოვს“; 30.10.2024; იხ. ბმული

[40] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; „საია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის გამო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული ყველა უბნის (2263 უბანი) შედეგების ბათილად ცნობას ითხოვს“; 30.10.2024; იხ. ბმული

[41] რადიო თავისუფლება; „ჯერჯერობით ერთი გამონაკლისი- მოსამართლეების უარი საარჩევნო სარჩელების უმრავლესობას“; 04.11.2024; იხ. ბმული

[42] რადიო თავისუფლება; „ვინ არის მოსამართლე ხუჭუა, რომელმაც არჩევნებზე ხმის ფარულობის დარღვევა დაადგინა“; 05.11.2024; იხ. ბმული

[43] Civil Georgia; „თბილისის სააპელაციო სასამართლომ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შესახებ სარჩელი არ დააკმაყოფილა“; 07.11.2024; იხ. ბმული

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „საქართველო გადარჩება - ერთი წესიერი მოსამართლე გამოჩნდა...“[44]

საქმის განხილვის მომდევნო ეტაპზე, თითქმის 24-საათიანი, უჩვეულოდ ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ უარყო ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და განჩინებით გააუქმა ერთადერთი მოსამართლის მიერ მიღებული საპირისპირო გადაწყვეტილებაც.[45]

ასევე, 19 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა არჩევნების შედეგების გასაბათილებლად. სარჩელი შეეხო ორ ძირითადი კონსტიტუციურ უფლებას არჩევნების საყოველთაობის დარღვევისა და ხმის ფარულობის დაცვასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის თქმით, სარჩელის მიზანი იყო მოსამართლეთა სინდისის ბოლომდე გამოცდა.[46] თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო პრეზიდენტისა და პარტიების სარჩელები არჩევნებთან დაკავშირებით.[47]

III. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

- შეკრების თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება.[48] მას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოსთვის და მისი მაღალი სტანდარტით დაცვა აუცილებელია საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის.[49]

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2024 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე თბილისში ჩატარებული შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგს აწარმოებდა სპეციალური მეთოდოლოგიით.[50] ცენტრი დააკვირდა თბილისში გამართულ 15 აქციას, რომელთაგანაც 8 შეეხებოდა პროტესტს „რუსული

[44] რადიო თავისუფლება; "საქართველო გადარჩება - ერთი წესიერი მოსამართლე გამოჩნდა" - პრეზიდენტი ვლადიმერ ხუჭუას გადაწყვეტილებაზე; 04.11.2024; იხ. ბმული

[45] Civil Georgia; „თბილისის სააპელაციო სასამართლომ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შესახებ სარჩელი არ დააკმაყოფილა“; 07.11.2024; იხ. ბმული

[46] რადიო თავისუფლება; „პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა არჩევნების შედეგების გასაბათილებლად“; 19.11.2024; იხ. ბმული

[47] რადიო თავისუფლება; „საკონსტიტუციომ წარმოებაში არ მიიღო პრეზიდენტისა და პარტიების სარჩელები არჩევნებზე“; 03.12.2024; იხ. ბმული

[48] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 21

[49] Bychawska-siniarska D., Protecting the Right to Freedom of Expression Under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2017, P 11-17.; იხ. ბმული

[50] ადამიანის უფლებათა ცენტრი; შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის მეთოდოლოგია; 2024; იხ. ბმული

კანონის“ წინააღმდეგ. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა ისეთი უფლებადარღვევები, როგორიცაა: აქციის მონაწილეთა უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები, მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა და რიგ შემთხვევებში - წამება, აქციის დაშლისას სპეციალური საშუალებების ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით გამოყენება, აქციის ფასილიტაციის პროცესში საპოლიციო ძალების არაპროპორციული რაოდენობის მობილიზება, აქციებზე არაიდენტიფიცირებული პოლიციელების გამოყვანა და აქციის მონაწილეთა პოლიტიკური ნიშნით დევნა.[51]

ჯერ კიდევ 2024 წლის დასაწყისში გამოვლინდა პოლიციელების მხრიდან აქციის მონაწილეებზე სავარაუდო თვალთვალის, მათთვის ფოტოებისა და ვიდეოების გადაღების შემთხვევები, რაც შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე არათავსებადია შეკრების თავისუფლებასთან.[52]

30 აპრილის, 1 და 13 მაისის მშვიდობიანი აქციები სამართალდამცველებმა უკანონოდ, არაპროპორციული ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაარბიეს. შსს-ს წარმომადგენლები ჯერ იღებდნენ აქციის აქტიური მონაწილეების ფოტოებს, შემდეგ კი იწყებოდა აქციის მონაწილეთა დევნა, ადმინისტრაციული დაკავება და ფიზიკური ძალადობა.[53] 16 აპრილს გამართულ აქციაზე პოლიციამ უკანონოდ დააკავა არაერთი მშვიდობიანი დემონსტრანტი. გარკვეულ შემთხვევებში, მოქალაქეები მძიმე ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლნიც გახდნენ.[54]

შეიძლება ითქვას, რომ არალეგიტიმური და არაპროპორციული იყო 2024 წლის აპრილ-მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (იგივე - რუსული კანონის) წინააღმდეგ მშვიდობიანი აქციის დარბევა, რადგან, ერთი მხრივ, არ არსებობდა საქართველოს პარლამენტის შესასვლელების ბლოკირების მიზეზით დემონსტრანტების დარბევის საფუძველი, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობდა მთლიანი აქციის დარბევის სამართლებრივი წინაპირობა. სახელმწიფომ დაარღვია აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები, როცა ხმოვანი გაფრთხილების გაჟღერების პარალელურად სპეციალური დანიშნულების რაზმმა

[51] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში“; 2024; იხ. ბმული

[52] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით“; 21.03.2024; იხ. ბმული

[53] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“; 03.10.2024; გვ. 3; იხ. ბმული.

[54] არასამთავრობო ორგანოზაციები: მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეწყვიტოს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება; 17.04.2024; იხ. ბმული

დაიწყო წყლის ჭავლის გამოყენება. გაფრთხილება საერთოდ არ უძღოდა წინ ცრემლსადენი გაზის კაფსულების გამოყენებას. ხოლო, რეზინის ტყვიების გამოყენება უარყო სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენელმა მაშინ, როცა მედიამ მოიპოვა რეზინის ტყვიების გამოყენების მტკიცებულებები. საპოლიციო ძალები დამიზნებით ისროდნენ ცრემლსადენი გაზის კაფსულებს და მშვიდობიან დემონსტრანტებს, სახის არეში, დამიზნებით, ახლო მანძილიდან ასხამდნენ წიწაკის სპრეის. ეს ყოველივე სპეციალური საშუალებების გამოყენების წესებს და სტანდარტებს არღვევს. მეტიც, სპეცრაზმელებმა სცემეს აქციაზე მყოფი არაერთი პირი, მათ შორის - ახალგაზრდები, ქალები, ჟურნალისტები და ოპოზიციის წარმომადგენლები (ალექსანდრე ელისაშვილი და ლევან ხაბეიშვილი).[55]

26 ოქტომბერს ჩატარებულმა სადავო არჩევნებმა მოსახლეობაში უწყვეტი სახის პროტესტი გამოიწვია. პროტესტის მონაწილეების თქმით, ცესკოს მიერ გამოცხადებულ არჩევნების შედეგები არ არის სანდო. დემონსტრანტები ახალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოვიდნენ.[56] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, 19 ნოემბერს პოლიციის მიერ დარბეული აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და შეკრების თავისუფლების სტანდარტებში ჯდებოდა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დაიწყეს აქციის მონაწილეების დაკავება. შესაძლოა გამოვლინდა არასათანადო მოპყრობისა თუ ძალის გადამეტების ფაქტები, მათ შორის, ჟურნალისტებთან მიმართებაშიც.[57]

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაში ჩარევა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა საზოგადოებაში პროტესტი გამოიწვია, ერთი მხრივ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა, რომელიც ფართოდ დარღვეული ხმის ფარულობით გამოირჩეოდა, ხოლო, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ მიერ საჯაროდ გაკეთებულმა განცხადებამ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების შეჩერების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას. თვითმხილველთა ჩვენებების მიხედვით, პროტესტებს ძალადობრივად არბევდნენ წიწაკის სპრეის, ცრემლსადენი გაზისა და ქიმიური ნივთიერებით გაჯერებული წყლის ჭავლების გამოყენებით, რასაც თან ახლდა დეზორიენტაცია და თავის ტკივილი. დაზარალებულებმა განაცხადეს, რომ პოლიცია არ უზრუნველყოფდა არც ერთ უსაფრთხო გასასვლელს, პირიქით, რიგ შემთხვევებში, პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურად ესხმოდნენ თავს

[55] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „30 აპრილი- 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება“; 01.05.2024; იხ. ბმული

[56] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „ადამიანის უფლებათა ცენტრი ეხმაურება პოლიციის მხრიდან მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ ძალადობას“; 20.11.2024; იხ. ბმული

[57] საქართველოს სახალხო დამცველი; „სახალხო დამცველის განცხადება“; 19.11.2024; იხ. ბმული

დემონსტრანტებს, რომლებიც ცდილობდნენ გამოყოფილი დერეფნების გავლით ტერიტორიის დატოვებას. ასევე, ხშირად, პოლიცია ცალკეულ მშვიდობიან დემონსტრანტებს გამოყოფდა მასისგან და მათზე ფიზიკურად ძალადობდა. საპოლიციო ძალების მხრიდან უპრეცედენტო მასშტაბის ძალადობა მიმართული იყო პროტესტის მონაწილეების, უფლებადამცველების, ჟურნალისტების, აქტივისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, როგორც პროტესტის დროს, ისე მის გარეთ. პროტესტის ბევრი მონაწილე ძირითადად ნიღბიანმა და არაიდენტიფიცირებადმა პირებმა სასტიკად სცემეს დაკავების პროცესში და დაკავების შემდეგ. ღია წყაროებში გავრცელებული ფოტო და ვიდეო მასალები ასახავს 99 პირის, მათ შორის 45 ჟურნალისტის დაკავების, ძალადობის და ფიზიკური დაზიანებების ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ თავდასხმებს ხშირად თან ახლდა შეურაცხყოფა, მუქარები (მათ შორის სექსუალური ძალადობის შესახებ) და დამცინავი თუ დამამცირებელი კომენტარები. ხშირად ძალადობა საიდუმლოდ ხდებოდა სატრანსპორტო საშუალებებში, სადაც მოქალაქეებს ჯერ ბოჭავდნენ, შემდეგ კი ურტყამდნენ და ფეხით დგებოდნენ მათზე. სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები ადასტურებს მსხვერპლთა ტრავმების შემაშფოთებელ ხასიათს. დაზარალებულებში განსაკუთრებით ხშირია სახისა და თავის დაზიანებები, მათ შორის, ცხვირის ძვლის მოტეხილობა და თავის ტვინის შერყევა. დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მათ სახეში „მყარი გარსის ხელთათმანებით“ ურტყამდნენ.[58] 22 წლის ბიჭს აქციაზე თვალში, სავარაუდოდ, ე.წ. გაზის კაფსულა მოხვდა, მას სკალპის ღია ჭრილობა, შუბლის ძვლის და თვალბუდის და ზედა კიდის კედლის მოტეხილობა ჰქონდა, რის გამოც კლინიკაში მედიკამენტოზური ძილის ქვეშ რჩებოდა.[59] აქციაზე დაზარალებულთა სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები მიუთითებს სისტემატურად წამებისა და არასათანადო მოპყრობის კოორდინირებულ პოლიტიკაზე.

- პროტესტის მონაწილეთა უკანონო დაკავების პრაქტიკა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ადამიანის მცირე ხნით დაკავებაც კი პირდაპირ გავლენას ახდენს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე.[60] ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართალდამცავებმა მაქსიმალურად უნდა აირიდონ თავიდან პროტესტის

[58] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

[59] იხ. ბმული

[60] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; მ. 4, 9; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მ. 5, ოქმი № 4, მ. 2.

მონაწილეთა მასობრივი დაკავებები, რადგან მსგავსი ქმედება შესაძლოა თავისუფლების თვითნებურ აღკვეთადაც ჩაითვალოს.[61]

საქართველოში მოქალაქეთა შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შესაზღუდად პრაქტიკაში ყველაზე ხშირად სამართალდამცავების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცველის დაუმორჩილებლობა) მუხლები გამოიყენება.[62] კოდექსი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.[63] ის ძალაში 1984 წლის 15 დეკემბერს შევიდა, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობდა. შესაბამისად, კოდექსი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიულ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ კოდექსში საბაზისო საპროცესო უფლებებიც კი არ არის გათვალისწინებული, ის ვერ იცავს მოქალაქეს სამართალდამცველთა თვითნებობისგან და ვერც სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას უზრუნველყოფს.[64] ამიტომ, ხშირად მოქალაქეთა დაკავება თვითნებურად ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელი იკლებს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და იმატებს მაშინ, როცა ხელისუფლება ძალაუფლების გახანგრძლივებაზე ზრუნავს.[65]

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“, იგივე - რუსული კანონის ხელახალი ინიციირების შემდეგ, როცა თბილისის ქუჩები მასობრივმა და უწყვეტმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა ლოზუნგით: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს!“[66] აპრილი-მაისის აქციებზე 200-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, მათგან 193 - ადმინისტრაციული კოდექსით, ხოლო ცხრა - სისხლის. სახალხო დამცველის თქმით, 2024 წელს უფრო მეტად იყენებდნენ ფიზიკურ ძალას აქციებზე დაკავებულების მიმართ, ვიდრე 2023 წელს.[67] 2024 წლის 15 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საპროტესტო

---

[61] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY; CDL-AD(2019)017; 2019; para 35, 220; იხ. ბმული

[62] უფლებადამცველთა გაერთიანება- ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა: საპროტესტო აქციებში მონაწილე აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების პროცესები, 2024; იხ. ბმული

[63] ნეტგაზეთი; „რატომ არის აუცილებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა?“; 17.10.2022; (ბოლონახვა: 15.10.2024); იხ. ბული

[64] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ლაზარე ჯიბლაძე; “ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ”; 2021; გვ.5; იხ. ბმული

[65] რადიო თავისუფლება: “რაც შეიძლება მკაცრი სასჯელი - როგორ ცვლიდა ხელისუფლება კანონს და ავიწროებდა სივრცეს პროტესტისთვის”; 06.08.2024; (ბოლო ნახვა 22.10.24); იხ. ბმული

[66] Civil Georgia; სიახლეების ბლოგი: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ – აქციები „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ; 05.06.2024; იხ. ბმული

[67] რადიო თავისუფლება; ომბუდსმენი: 2024 წელს უფრო მეტად იყენებდნენ ფიზიკურ ძალას აქციებზე დაკავებულების მიმართ, ვიდრე 2023-ში; 19.06.2024; იხ. ბმული

აქციების დროს დაკავებული 180 პირი მოინახულეს, რომელთაგან ნახევარზე მეტი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.[68] საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, შესაძლოა სწორედ წამებას გაუთანაბრდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომიტინგეების დარბევის დროს, აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში, ანდა დაკავების შემდეგ განხორციელებული არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები.[69]

აპრილ-მაისში საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა ისტორიები ადასტურებს, რომ მათ არ ჩაუდენიათ არანაირი სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის მიზნითაც გამართლებული იქნებოდა მათი დაკავება. მაგალითად, აქციაზე დააკავეს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც დაკავების მომენტში სამედიცინო დახმარებას უწევდა დაზარალებულს; აკავებდნენ აქციის მონაწილეებს, რომლებიც უკან იხევდნენ და სხვ. თითოეულის დაკავებას თან ახლდა ფიზიკური ძალადობაც.[70] ლაზარე გრიგორიადისის თქმით, მისი დაკავება პოლიციას წინასწარ ჰქონდა განზრახული, ხოლო დაკავების შემდეგ მას ურტყამდნენ ფეხებს თავის არეში.[71] ჟურნალისტების წინაშე დააკავეს ანტისაოკუპაციო მოძრაობის - „ძალა ერთობაშია“ ლიდერი დავით ქაცარავა, როცა ის სიტყვით მიმართავდა სამართალდამცავებს და რუსულ რეჟიმთან ბრძოლის საჭიროებაზე საუბრობდა. შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა დროის სხვადასხვა მონაკვეთში მას ხუთჯერ სცემეს გინებისა თუ სხვა შეურაცხმყოფელი შეძახილების ფონზე.[72]

აქციებზე დაკავება უმეტესად ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე პერიოდულად ხდებოდა წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მომიზეზებით. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მონახულებული დაკავებულების უმრავლესობა იყო ნაცემი, რაც მიუთითებს პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე. ორგანიზაციები მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ დაკავებულთა ადგილმდებარეობის დადგენას.[73] გაერთიანებულმა

---

[68] IPN; Public Defender's Office: From April 15 to May 17, representatives of the Public Defender visited 180 people arrested during the protests, 93 persons indicated ill-treatment by the police; 17.05.2024; იხ. ბმული

[69] საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება; "30 აპრილი- 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება"; 01.05.2025; იხ. ბმული

[70] უფლებადამცველთა გაერთიანება- ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა: საპროტესტო აქციებში მონაწილე აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების პროცესები, 2024; გვ. 9-12; იხ. ბმული

[71] რადიო თავისუფლება; ადვოკატის თქმით, ლაზარე გრიგორიადისს დაკავების დროს ფიზიკურად გაუსწორდნენ; 15.05.2024; იხ. ბმული; რადიო თავისუფლება; „ლაზარე გრიგორიადისი იზოლატორს 16 მაისს დატოვებს - პოლიციამ პატიმრობის ვადა 48 საათამდე გაახანგრძლივა“ 15.05.2024; იხ. ბმული

[72] რადიო თავისუფლება; "ცემის შემდეგ სურათებს თუ ვიდეოებს მიღებდნენ, ეს უნდა გადავაგზავნოთო"- დავით ქაცარავა; 15.05.2024; იხ. ბმული; საქართველოს ამბები; „ყურში ჩამესმა ერთ-ერთი ჯალათის შეძახილი - მოკალი“ - ქაცარავა ცემის დეტალებს იხსენებს; 21.05.2024; იხ. ბმული

[73] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „30 აპრილი- 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება“;

კონსორციუმმა წამების წინააღმდეგ (UATC), ადგილობრივ წევრ ორგანიზაციებთან ერთად, მოუწოდა საქართველოს მთავრობას, დაესრულებინა ძალადობა აქციების მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ; მოეხდინა სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება სამართალდამცველების მხრიდან ჩადენილი წამების და არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტზე; მიეცა შესაბამისი კომპენსაცია უფლებადარღვეული პირებისთვის და უზრუნველეყო პრევენციული გარანტიები.[74] თუმცა, ჩამოთვლილთაგან არცერთი შესრულებულა.

არჩევნების შემდეგ პერიოდში, ნოემბერ-დეკემბრის აქციებზე კიდევ უფრო გაიზარდა მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა მიმართ ძალადობისა და თვითნებური დაკავებების მასშტაბი. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების იურიდიული დახმარების ქსელის ინფორმაციით, ამ პერიოდში 500-მდე დემონსტრანტი დააკავეს. დაკავებულებს ხშირად არ ეძლეოდათ თავიანთი ადგილსამყოფელს ახლობლებისთვის ცნობის ან ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა. შესაბამისად, მათი ადგილსამყოფლის შესახებ საათობით არ იცოდნენ ოჯახის წევრებმა. დაკავებულთა ნაწილის თქმით, მათ სთხოვდნენ ცრუ ინფორმაციაზე ხელის მოწერასა და გაყალბებული ბრალდებების დადასტურებას.[75] სახალხო დამცველის განცხადებით, დაკავებულთა უმრავლესობა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან მიზანმიმართულ ანგარიშსწორებაზე მიუთითებდა. ისინი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ დაკავების შემდეგ პოლიციის ავტომობილშიც.[76] ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, პროევროპულ აქციებზე დაკავებული 400-მდე ადამიანიდან 100-ზე მეტს დასჭირდა ექიმების დახმარება.[77] ნოემბერ-დეკემბერში განსაკუთრებული სისასტიკის ძალადობა მიმართული იყო მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეების, მათ შორის, არასრულწოვნების, შშმ პირებისა და ქალების მიმართ.[78] მასშტაბებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ამ დანაშაულებისა და რეპრესიების სხვა ფორმების დოკუმენტირებას დაიწყეს.[79]

01.05.2024; იხ. ბმული

[74] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „საქართველო: შეწყდეს პოლიციის მხრიდან სისასტიკე და ეფექტურად იყოს გამოძიებული წამების სავარაუდო ფაქტები“; 24.05.2024; იხ. ბმული

[75] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

[76] რადიო თავისუფლება; “ომბუდსმენი: დაკავებულები მიუთითებენ სპეცრაზმელების მხრიდან მიზანმიმართულ ანგარიშსწორებაზე“; 01.12.2024; იხ. ბმული

[77] რადიო თავისუფლება; „„ვისაც არ დაეზარა, მუშტებს და წიხლებს მირტყამდა,15-20 წუთს გრძელდებოდა ეს ცემა“ - აქციაზე დაკავებული პროგრამისტი“; 26.12.2024; იხ. ბმული

[78] კოალიცია თანასწორობისთვის; „10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა“;10.12.2024; იხ. ბმული

[79] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დანაშაულებისა და რეპრესიების სხვა ფორმების დოკუმენტირებას იწყებენ; 13.12.2024; იხ. ბმული

- მოძალადე საპოლიციო ძალების გამოვლენა და ბრალდება

ზემოთაღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2024 წელს არაერთ აქციაზე მოხდა შეკრების თავისუფლების არალეგიტიმური შეზღუდვა, სპეციალური საშუალებების არასათანადო გამოყენება, აქციის დარბევისას მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობა, ძალადობა და უკანონო დაკავება. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია გამოძიების პროგრესის ან დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ გავრცელებულ კადრებში, ზოგჯერ, კარგად ჩანს სამართალდამცველთა მიერ სავარაუდო წამების ან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, გამოძიება მაინც მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით იწყება ყველა საქმეზე.[80]

მეტიც, საჯარო პირებმა, თავი შეიკავეს საპოლიციო ძალების მხრიდან გამოვლენილი ძალადობის დაგმობისგან. დაუსჯელობის განცდა კიდევ უფრო გამძაფრდა იმ ფაქტით, რომ სამართალდამცავებს არ ჰქონდათ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, სახე კი ნიღბებით ჰქონდათ დაფარული. ამ მოვლენების თაობაზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებსა და სტამბოლის პროტოკოლს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძალადობრივი ინციდენტების განმეორებადი ხასიათი, ასევე წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პასუხისმგებლობის არარსებობა მიუთითებს რეპრესიების სისტემურ და კოორდინირებულ პოლიტიკაზე, რაც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა დაშინებას და მათზე შურისძიებას.[81]

[80] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ; 2024; გვ. 8,14; იხ. ბმული

[81] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

IV. მედია და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

- მედიაგარემო

2024 წელს განსაკუთრებულად გაუარესდა მედიაგარემო და მედიის წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა. საპარლამენტო არჩევნების წინ ქართული მედიაგარემო მუქარის, დაშინებისა და ძალადობის გავრცელებული ფაქტებით გამოირჩეოდა. თავდასხმა, როგორც წესი, დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიაორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ ხდებოდა. მმართველმა პარტიამ მიიღო „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული კანონი, რომელიც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციას, საქმიანობის შეზღუდვას და საბოლოოდ მათ ლიკვიდაციას. საქართველოს პარლამენტი თანდათანობით იქცა დახურულ სივრცედ დამოუკიდებელი მედიისთვის, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზაცია მძიმედ აისახა მედიის თავისუფლებაზე. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად დარჩა დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სტრატეგიული სამართალწარმოების სარჩელები (SLAPP), რომელიც ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვისკენ არის მიმართული. ასევე, სერიოზულ გამოწვევად იქცა ყოველდღიური დეზინფორმაცია.[82] აქედან გამომდინარე, წლის ბოლოს, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯმდომრის და დირექტორის მიერ პოსტების დატოვება მოითხოვეს არხის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო.[83]

- მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა.[84]

2024 წელს განსაკუთრებით გახშირდა სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმა. ჯერ კიდევ 2024 წლის 23 იანვარს თბილისში, საცხოვრებელი კორპუსიდან ოჯახის გამოსახლების პროცესის გაშუქებისას, პოლიციის თანამშრომლებმა ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ონლაინ მედიაპლატფორმა „მაუწყებლის“ ჟურნალისტებს

[82] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „საქართველოს მედიაგარემო“; 2024; იხ. ბმული
[83] ერთობლივი განცხადება; „საზოგადოებრივი მაუწყებელი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და დირექტორმა პოსტები უნდა დატოვონ“; 22.12.2024; იხ. ბმული
[84] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 17

და ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ. არაერთხელ წაართვეს მობილური ტელეფონი, რომლითაც ხორციელდებოდა გადაღება, ასევე მათ დაუზიანეს ძვირადღირებული კამერა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო გამოძიება და მედიის ხუთივე წარმომადგენელს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, მაგრამ შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი ჯერჯერობით არცერთ პოლიციელთან მიმართებაში არ დამდგარა.[85]

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსაკუთრებით შემაშფოთებელი სახე მიიღო მედიის წარმომადგენლების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის, სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების შემთხვევებმა, ასევე, იყო ჟურნალისტების დაკავების შემთხვევები როგორც დემონსტრაციის ადგილზე, ისე ახლომდებარე ქუჩებზე.[86] 19 ნოემბერს, ოპერატორებისა და ჟურნალისტების მიერ აქციის გაშუქებისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, მათზე იძალადეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. ფიზიკურად გაუსწორდნენ და დააკავეს "მთავარი არხის" ოპერატორი; ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს "პუბლიკას" ჟურნალისტს; ხელი შეუშალეს OC Media-ის და Netgazeti-ის ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ეს ყოველივე ეწინააღმდეგება პრესის თავისუფლებას და დემოკრატიულ პრინციპებს.[87] თუმცა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწოდების მიუხედავად, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა არც შემდეგ პერიოდში შეჩერებულა.

მას შემდეგ რაც 28 ნოემბერს დე ფაქტო პრემიერ მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკების პროცესს აჩერებდა, პროევროპული აქციების გაშუქებისას ათი დღის განმავლობაში მედიას პროფესიულ საქმიანობაში ხელი 90-ზე მეტ შემთხვევაში შეეშალა. შსს-ს წარმომადგენლები ჟურნალისტების მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ და მათ ნაწილს სასტიკად გაუსწორდნენ.[88] ფიზიკური ძალადობა მოხდა, მათ შორის იმ ჟურნალისტებზე, რომელთაც ჰქონდათ შესაბამისი, პრესის აღმნიშვნელი საიდენტიფიკაციო ნიშანი.[89] მაგალითად,

---

[85] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „'მაუწყებლის' ჟურნალისტებს პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა“; 15.03.2024; იხ. ბმული

[86] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

[87] Civil.ge; “შსს-მ თსუ-სთან მშვიდობიანი აქციის მონაწილეები დაარბია და დააკავა”; 19.11.2024; იხ. ბმული. ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებათა ცენტრი ეხმაურება პოლიციის მხრიდან მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ ძალადობას; 20.11.2024; იხ. ბმული

[88] მედიაჩეკერი; „28 ნოემბრიდან მედიის საქმიანობაში ხელშეშლის 90-ზე მეტი ინციდენტი მოხდა“; 09.12.2024; იხ. ბმული

[89] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

სპეცრაზმელი პირდაპირ ეთერში დაესხა თავს და ფიზიკურად გაუსწორდა ჟურნალისტ დავით ცაგარელს, როცა მას მაიდენტიფიცირებელი ნიშნები და რადიო „თავისუფლების“ ქურთუკი ეცვა წარწერით „პრესა“.[90]

ამ აქციების გაშუქებისას განსაკუთრებული ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო რამდენიმე ჟურნალისტმა. მაგალითად, 29 ნოემბერს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს, გურამ როგავას სპეცრაზმელის თავდასხმის შედეგად[91] აღენიშნა კისრის სხვა დაზუსტებული მალის მოტეხილობა; თვალბუდის ფსკერის მოტეხილობა; სკალპის ღია ჭრილობა; თავის ტვინის შერყევა და სხვა თანმხლები გართულებები. მას სპეცრაზმელი მოულოდნელად დაესხა თავს, როცა პირდაპირ ეთერში აშუქებდა აქციაზე მიმდინარე მოვლენებს. გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და უფლებამოსილების გადამეტების მიმართულებით მიმდინარეობს მაშინ, როცა გავრცელებული კადრებიდანაც ჩანს, რომ დანაშაული განზრახ მკვლელობის მცდელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და არაადამიანური მოპყრობის ნიშნებსაც შეიცავს.[92]

რიგ შემთხვევებში, მედიის წარმომადგენლებზე თავდამსხმელები არა შსს-წარმომადგენლები, არამედ შავებში ჩაცმული. ნიღბიანი უცნობი პირები იყვნენ. კადრებით დასტურდება, რომ „TV პირველის“ წარმომადგენლებზე ჯგუფური ანგარიშსწორების დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციაც, მაგრამ მათ თავდასხმაზე რეაგირება არ მოუხდენიათ.[93]

თითოეულ შემთხვევაში ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული არაადამიანური ქმედებების მიზანი იყო - მათი დაშინება და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელშეშლა, რის შედეგადაც ისინი ვეღარ მოახერხებდნენ ადგილზე განვითარებული სამართალდამცავების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების გაშუქებას ანდა დაისჯებოდნენ უკვე გაშუქებული მასალის გამო.

---

[90] ტელეკომპანია პირველი; „!!! მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის კიდევ ერთი ფაქტი - დაშავებულია რადიო თავისუფლების ჟურნალისტი“; 29.11.2024; იხ. ვიდეოს ბმული; ასევე, რადიო თავისუფლება; „რადიო თავისუფლების ჟურნალისტს დავით ცაგარელს ეცვა ქურთუკი წარწერით პრესა - მას სპეცრაზმელმა პირდაპირ ეთერში მუშაობისას დაარტყა“; 29.11.2024; იხ. ვიდეო ბმული

[91] რადიო თავისუფლება; "ფორმულის" ჟურნალისტს, გურამ როგავას სპეცრაზმელმა სცემა; 29.11.2024; იხ. ბმული;

[92] რადიო თავისუფლება; „რადიო თავისუფლების კამერებმა დააფიქსირა როგორ დაესხა თავს სპეცრაზმელი „ფორმულის“ ჟურნალისტს გურამ როგავას“; 29.11.2024; იხ. ვიდეო ბმული.

[93] მედიაჩეკერი; „28 ნოემბრიდან მედიის საქმიანობაში ხელშეშლის 90-ზე მეტი ინციდენტი მოხდა“; 09.12.2024; იხ. ბმული

V. სასამართლო ხელისუფლება

- სასამართლო სისტემა

სასამართლო ხელისუფლებამ 2024 წელს წინა წლის მსგავსად გააგრძელა ფუნქციონირება სანქცირებული მოსამართლეებითა და არაჯანსაღი სისტემით,[94] რამაც საბოლოო ჯამში, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევაც განაპირობა.

ევროკომისიის მოთხოვნა საქართველოსთან წევრობაზე მოლაპარაკების გახსნის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ სასამართლოს გაჯანსაღება იყო. ამ კუთხით, მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, სასამართლოების თავმჯდომარეების და ამ პოზიციებზე დასანიშნი კანდიდატების კეთილსინდისიერების გადამოწმების საკითხი. თუმცა, 2024 წლის მარტში პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებებით გაირკვა, რომ ისინი მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის შექმნის საკითხს დახურულად აცხადებდნენ. რეალურად, მიუკერძოებელი მართლმსაჯულების უზრუნველყოფას ემსახურება წამყვან პოზიციებზე დანიშნული მოსამართლეების და კანდიდატების კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის შექმნა თანაც იმ პირობებში, როცა ზოგიერთი მოსამართლე სანქცირებულია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. ამ საკითხის დახურვით ხელისუფლებამ თავიდანვე რისკის ქვეშ დააყენა ევროინტეგრაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოუწოდეს ხელისუფლებას სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების აღიარებისკენ და ევროკომისიის მიერ დამტკიცებული 9 ნაბიჯით გათვალისწინებული პირობების რეალური შესრულებისკენ.[95]

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ევროინტეგრაციის პროცესის დამაზიანებლად მიიჩნია 24 მარტს ჩატარებული კონფერენცია, სადაც მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა კონფერენცია ევროკომისიის მიერ მოთხოვნილი კეთილსინდისიერების შემოწმების იდეისა

[94] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2023; გვ. 22-24; იხ. ბმული

[95] საერთო განცხადება; „მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების თემა ვერ დაიხურება, რადგან ქართველი ხალხის დაკვეთა სასამართლოს გაჯანსაღება და ევროკავშირის წევრობაა"; 21.03.2024; იხ. ბმული. ასევე, ერთობლივი განცხადება; კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; „მოსამართლეთა კონფერენციის ევროინტეგრაციის წინააღმდეგ გამოყენება დაუშვებელია"; 25.03.2024; იხ. ბმული

და ინდივიდუალური მოსამართლეების დისკრედიტაციისთვის გამოიყენა.[96] ამის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირის რეკომენდაციების უგულებელყოფით განაგრძეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ჩვეულებრივ, არსებული პროცედურებით შერჩევა.[97] ამასთანავე, 5 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოთხმა მოსამართლემ, სასამართლოს მეშვეობით ანტიკორუფციულ ბიუროს მიერ მათი ქონების შემოწმება შეაჩერეს. ამგვარი ფაქტები შემაშფოთებელია და ქმნის შესაძლებლობას, რომ კლანის წევრებმა თავი აარიდონ მათი ფინანსური კეთილსინდისიერების გადამოწმებას ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ჩატარებულ ლიმიტირებულ ფარგლებშიც კი. [98]

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში არაერთხელ იყო მმართველი პარტიის მიერ განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა კრიტიკის შემთხვევა. მაგალითად, 20 აგვისტოს კრიტიკის ობიექტი გახდა მოსამართლე ეკა არეშიძის მიერ „ხორავას ქუჩის საქმეზე“ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც მან სრულად არ გაიზიარა პროკურატურის მიერ საქმეზე წარდგენილი ბრალდება. პოლიტიკური თავდასხმის ობიექტი გახდა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეც, რომელმაც მხარი დაუჭირა ევროკომისიის რეკომენდაციას, ქვეყანაში შეიქმნას მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმი.[99] განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის სასამართლო სისტემიდან განდევნის შემთხვევა დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც. გადაწყვეტილების თანახმად, იუსტიციის უმაღლესის საბჭოს მიერ მაია ბაქრაძისთვის მოსამართლედ განწესებაზე ორჯერ უარის თქმა იყო დისკრიმინაციული. ეს კი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, რომელიც სასამართლო სისტემიდან განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა დევნის მრავალწლიან პრაქტიკაზე მიუთითებს.[100]

---

[96] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; კოალიცია 24 მარტს ჩატარებულ კონფერენციას ევროინტეგრაციის პროცესის დამაზიანებლად აფასებს; 29.03.2024; იხ. ბმული

[97] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; უზენაესი სასამართლოს 3 ახალი წევრის არჩევით პარლამენტი ევროინტეგრაციის პროცესის დაზიანებას განაგრძობს; 02.07.2024; იხ. ბმული

[98] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; „კოალიცია ანტიკორუფციული ბიუროსთვის მოსამართლეთა ქონების შემოწმების შეჩერებას ეხმიანება“; 07.04.2024; იხ. ბმული

[99] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; „მმართველი პარტია მართლმსაჯულების საკითხებს პროპაგანდისტული და პარტიული ინტერესებისათვის იყენებს“; 23.08.2024; იხ. ბმული

[100] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის; „სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის სასამართლო სისტემიდან განდევნა“; 11.11.2024; იხ. ბმული

- საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების სასამართლო პროცესები

2024 წელს საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა სასამართლო სხდომებზე ძირითადად ერთი და იგივე სურათი იქმნებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულთა წინააღმდეგ მხოლოდ პოლიციელებს წარადგენდა და მტკიცებულებად მხოლოდ მათი გამოკითხვის ოქმებს იყენებდა. მოსამართლე კი, რიგ შემთხვევებში, მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე იღებდა პირის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებას. იშვიათად ხდებოდა პოლიციელების მიერ ვიდეომტკიცებულების წარდგენა. სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობა კი იმთავითვე არასწორია, რადგან, ცხადია, პოლიციელი დაკავების ოქმის საწინააღმდეგო ჩვენებას ვერ მისცემდა.[101]

მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დავით ქაცარავას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევას ედავებოდა. ის 14 მაისს დააკავეს, მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ მასზე ძალადობა აქციის ტერიტორიიდან გაყვანისთანავე დაიწყო და მრავალჯერადი ხასიათის იყო.[102] სასამართლო სხდომაზე დავით ქაცარავამ აღნიშნა: „აქ ვზივარ იმისთვის, რაც არ ჩამიდენია“. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად სასამართლოში მტკიცებულებები ვერ წარადგინა. სხდომაზე მოწმის სახით მოწვეული იყო 2 პოლიციელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაკავების პროცესში არ ეკეთათ სამხრე კამერები.[103] ამის მიუხედავად, დაკავების დროს ნაცემი დავით ქაცარავა სასამართლომ 2000 ლარით დააჯარიმა.[104] მისი თქმით, გადაწყვეტილება მასზე ზეწოლასა და მის დაშინებას ისახავს მიზნად.[105]

ასევე, 28-29 ნოემბერს დააკავეს პოეტი პოეტი ზვიად რატიანი, მას ხელშეკრულს ურტყამდნენ მუშტებს სახეში. სამართალდამცავების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად ჰქონდა მრავლობითი დაზიანებები

---

[101] უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; „სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა“; 2024; იხ. ბმული; რადიო თავისუფლება; ჯარიმების „კონვეიერი“ - სასტიკად ნაცემ დავით ქაცარავასაც დასჯიან?; 11.07.2024; იხ. ბმული

[102] რადიო თავისუფლება; "ცემის შემდეგ სურათებს თუ ვიდეოებს მიღებდნენ, ეს უნდა გადავაგზავნოთო" - დავით ქაცარავა; 15.05.2024; იხ. ბმული

[103] რადიო თავისუფლება; ჯარიმების „კონვეიერი“ - სასტიკად ნაცემ დავით ქაცარავასაც დასჯიან?; 11.07.2024; იხ. ბმული

[104] რადიო თავისუფლება; დაკავების დროს ნაცემი დავით ქაცარავა სასამართლომ 2000 ლარით დააჯარიმა; 23.07.2024; იხ. ბმული

[105] ფორმულა; ქაცარავა: 2-ვე პოლიციელის ჩვენება ერთმანეთს აცდენილი და ურთიერთგამომრიცხავი იყო; 05.07.2024; იხ. ბმული

(მოტეხილი მეხუთე მალა, გატეხილი ცხვირის ძვალი და ძგიდე და სხვ.).[106] თუმცა, აქციაზე ნაცემი და უსაფუძვლოდ დაკავებული პოეტი თბილისის საქალაქო სასამართლომ 8-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობაში დატოვა.[107]

ტენდენციის სახე მიიღო ასევე შემთხვევებმა, როცა პოლიციელები, რომლებიც სასამართლოში ჩვენებას იძლევიან, რეალურად დაკავების დროს ადგილზე არ იმყოფებოდნენ.[108]

დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესებმა და მოსამართლეების მიერ მტკიცებულებების გარეშე სამართალდარღვევათა დადგენამ, დადგენილებათა ბლანკეტურობამ და მაღალი ადმინისტრაციული ჯარიმების დაწესებამ, სასამართლო კიდევ ერთ სადამსჯელო ინსტიტუტად აქცია, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად, რიგ შემთხვევებში, კრიტიკული აზრის ჩახშობისა და რეპრესიული მექანიზმების გამტარებელი გახდა.[109]

VI. თანასწორობის უფლება

ზემოაღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, 2024 წელი საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ხასიათდებოდა. ამან ზეგავლენა მოახდინა ყველა სოციალურ ჯგუფზეც, რადგან ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლა თითოეულ მოქალაქეს ეხება და საფრთხეს უქმნის ყველას უფლებრივ მდგომარეობასა თუ მომავალს.

2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს – 682,739 ადამიანს მიაღწია, რაც საქართველოს მოსახლეობის 18.5%-ია. ეს მონაცემი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს ნათლად ასახავს[110] და შესაბამისად თითოეული სოციალური ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებაზეც აისახება.

---

[106] რადიო თავისუფლება; „ხელებშეკრულს მირტყამდნენ მუშტებს სახეში: ზვიად რატიანის ცემისა და დაკავების ამბავი“;02.12.2024; იხ. ბმული

[107] ნეტგაზეთი; „აქციაზე ნაცემი და დაკავებული ზვიად რატიანი 8-დღიან პატიმრობაში დატოვეს“; 02.12.2024; იხ. ბმული

[108] საერთო განცხადება; საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით; 24.12.2024; იხ. ბმული

[109] უფლებადამცველთა გაერთიანება- დამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა: საპროტესტო აქციებში მონაწილე აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების პროცესები; 2024; გვ. 19 იხ. ბმული

[110] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი; „წინასაარჩევნოდ და კენჭისყრის დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა“; 22.11.2024; იხ. ბმული

გარდა ამისა, კვლავ გრძელდებოდა წინა წლის უფლებათა დარღვევების პრაქტიკა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში.[111]

- ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან, მე-9 პრიორიტეტის სახით, საქართველოს ევალებოდა გენდერული თანასწორობის ზრდა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება. თუმცა, 2024 წლის 3 აპრილს პარლამენტმა ქალთა კვოტირების გაუქმების შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო.[112] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, მხარი არ დაეჭირათ გენდერული კვოტის გაუქმებისთვის, რადგან ეს, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და ქალთა უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ, აფერხებდა ევროინტეგრაციის პროცესს.[113] თუმცა, 2024 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტმა მაინც დაძლია პრეზიდენტის ვეტო საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებაზე, რომელიც ქალი დეპუტატებისთვის გენდერული კვოტების გაუქმებას ითვალისწინებდა.[114]

2024 წლის პირველ რვა თვეში, საქართველოში რვა ქალი მოკლეს.[115] ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა სერიოზულ პრობლემად რჩება და კვლავ პრობლემას წარმოადგენს კანონმდებლობის აღსრულება და ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა. 2024 წელს შსს-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე 692 შემაკავებელი ორდერი გამოიცა და სხვადასხვა სახის 824 ძალადობის შემთხვევა მოხდა.[116]

- ბავშვთა უფლებების დაცვა

არასრულწლოვანთა დაცვის მოტივით, 2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტთა პაკეტი მიიღო,[117] რომელიც 2 დეკემბერს ამოქმედდა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის

---

[111]ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2023; გვ. 24-35; იხ. ბმული

[112] რადიო თავისუფლება; „პარლამენტმა ქალთა კვოტირების გაუქმების შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო“; 03.04.2024; იხ. ბმული

[113] რადიო თავისუფლება; „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, მხარი არ დაუჭიროს გენდერული კვოტის გაუქმებას“; 02.04.2024; იხ. ბმული

[114] Civil.ge; „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“; 15.05.2025; იხ. ბმული

[115] რადიო თავისუფლება; „როცა იმიტომ გკლავენ, რომ ქალი ხარ - რატომ ვერ მცირდება ძალადობის და ფემიციდის სტატისტიკა“; 08.10.2024; იხ. ბმული

[116] Polie.ge; იხ. ბმული

[117] რადიო თავისუფლება; „შალვა პაპუაშვილმა ხელი მოაწერა ლგბტ უფლებების შემზღუდავ კანონპროექტს“; 03.10.2024; იხ. ბმული

დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სახით. კანონი მცდარად წარმოაჩენს, თითქოს ის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას ისახავს მიზნად. კანონი თავადვე აყენებს ბავშვებს სხვადასხვა უფლების დარღვევის რისკის წინაშე, რის გამოც, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს,უარი ეთქვა მსგავსი შინაარსის მქონე კანონზე. რეალურად, კანონიდან გამომდინარე, დაწესებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი სანქციები, რომელიც მიმართულია აქტივიზმის, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობის და ჯანდაცვის გარკვეული ფორმების კრიმინალიზებისკენ. კანონი იწვევს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას, აქტივისტურ, შემოქმედებით, მეცნიერულ საქმიანობაში ცენზურის დაწესებასა და ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წახალისებას.[118]

რეალურად, ქვეყანაში ბავშვთა უფლებებს მართლაც სჭირდება დაცვა. ამ კუთხით გამოწვევას წარმოადგენს, რომ ბავშვთა უმრავლესობას არც კი აქვს საკმარისი ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. უფრო კონკრეტულად, ბავშვების 29.73% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის უფლებების შესახებ, ხოლო 70.27% ფლობს მხოლოდ მწირ ინფორმაციას.[119]

წინა წლის მსგავსად კვლავ პრობლემად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ფიზიკური დასჯის მეთოდების არსებობა. ხოლო, სწრაფი და ეფექტური გამოძიება გამოწვევას წარმოადგენს.[120] მარტო 2024 წლის იანვარ-თებერვალში, სექსუალური ხასიათის დანაშაულის ფაქტებზე პროკურატურამ დაზარალებულად ცნო 24 ბავშვი. ამასთან, ბავშვების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. სექსუალური ძალადობა 2024 წელსაც ოჯახის წევრების მიერ იყო ჩადენილი, მაგალითად, კახეთში 14 წლის გოგო მამიდის ქმარმა, 40 წლამდე კაცმა გააუპატიურა; დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში კი მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანმა იმშობიარა, მისი გაუპატიურების ბრალდებით პოლიციამ მოზარდის მამა დააკავა. მშობიარობის შემდეგ მოზარდმა თქვა, რომ მასზე მამა ორი წლის განმავლობაში სექსუალურად ძალადობდა და მას ემუქრებოდა.[121]

---

[118] კოალიცია თანასწორობისთვის' განცხადება დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული კანონის ამოქმედების შესახებ
02.12.2024; იხ. ბმული

[119] საქართველოს სახალხო დამცველი; „მარ,თლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“; 2024; გვ. 8, 16; იხ. ბმული

[120] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2023; გვ. 28-29; იხ. ბმული

[121] რადიო თავისუფლება; „სექსუალური ძალადობის 285 მსხვერპლი ბავშვი - როგორ ძალადობენ მამები, პაპები, ბიძები და სხვები“; 03.04.2024; იხ. ბმული

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ აწყდებიან დისკრიმინაციას, მათ შორის დასაქმების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე ამ ჯგუფის უფლებების სისტემურ დარღვევას განაპირობებს.

2024 წლის 14 ივნისს შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე ზუგდიდში აქციით აღნიშნეს. მათი განმარტებით, რუსული კანონი საფრთხეს უქმნის იმ ორგანიზაციების არსებობას, რომლებიც წლებია, შშმ პირთა უფლებებს იცავენ და სახელმწიფოს აიძულებენ თანაბარი გარემოს შესაქმნელად სხვადასხვა სერვისების დანერგვას. „ჩვენ ვიცით საერთაშორისო დახმარების ფასი. დღემდე რაც გაკეთებულა შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და რასაც ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება აჟღერებს, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის ინიციირებული და შემუშავებული“[122]

პროევროპული აქციების პერიოდში ძალოვნების მიერ ჩადენილ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას ააშკარავებს შშმ პირზე, არასრულწლოვანებსა და ორსულ ქალზე განხორციელებული სასტიკი ძალადობის ფაქტები.[123]

- ხანდაზმული და უსახლკარო პირები

2024 წელს ხანდაზმული პირები კვლავ რჩებიან ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად. პენსიის სიმცირე და სოციალური მომსახურების სუსტი მექანიზმები მათი ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე უარყოფითად აისახება. ხანდაზმულთა პენსია არ უზრუნველყოფს პენსიონერთა არსებითი საჭიროებების დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით, როდესაც გაძვირებულია სამედიცინო მომსახურება, საკვები, კომუნალურ ხარჯები და სხვა საარსებო საჭიროებები.

2024 წელს სოციალური დახმარების სისტემის სირთულეები ამწვავებს უსახლკარობის პრობლემას. 2024 წლის 23 იანვარს, კეკელიძის ქუჩაზე, აღსრულების პოლიციამ ოჯახი ძალის გამოყენებით გამოასახლა, როცა ტემპერატურა მინუს ერთი გრადუსი იყო. მსგავსი შემთხვევა მოხდა 2023 წლის თებერვალშიც, როცა სახლიდან რვასულიანი ოჯახი გამოასახლეს. უფლებადამცველები მოითხოვენ მორატორიუმს, რათა გამოსახლების

[122] რადიო თავისუფლება; შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე ზუგდიდში აქციით აღნიშნეს; 14.06.2024; იხ. ბმული

[123] სოციალური სამართლიანობის ცენტრი; „დემონსტრანტებზე ძალადობამ სისტემური წამების, არაადამიანური მოპყრობის და დასჯის ფორმა მიიღო“; 07.12.2024; იხ. ბმული

პოლიტიკა გაეროს სტანდარტებს შეესაბამებოდეს, განსაკუთრებით ზამთარში, რათა გამოსახლებები არ იყოს ასეთი არაჰუმანური, ბრუტალური და ღირსების შემლახავი.[124] 2024 წლისთვის საქართველოში უსახლკაროთა რაოდენობის შესახებ ოფიციალური და ერთიანი სტატისტიკა არ არსებობს.

- უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფები

2024 წელს **ეროვნული უმცირესობები** კვლავ სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებოდნენ. ისინი უმეტესად არ ფლობენ სახელმწიფო ენას, რაც საგანმანათლებლო უთანასწორობას იწვევს. ასევე შეზღუდულია მათი წარმომადგენლობა საჯარო მმართველობაში.

საქართველოში **რელიგიური უმცირესობები** არაერთი გამოწვევის წინაშე დგა. მაგალითად, 2024 წლის 8 მარტს ადიგენში მუსლიმი მორწმუნეების რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა, როდესაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები და ადგილობრივი მაცხოვრებლები ცდილობდნენ მუსლიმთა სალოცავის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლას. გავრცელებულ კადრებში ჩანს მუქარა და სიძულვილის ენა. დანაშაულის ნიშნების არსებობის მიუხედავად, საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა. ამ საქმეში გამოჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტების უმოქმედობა, რაც რელიგიური შეუწყნარებლობის გაღრმავებას უწყობს ხელს.[125]

2024 წელს განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგნენ **სექსუალური უმცირესობების** წარმომადგენლები. პარლამენტმა ანტი-ლგბტ კანონმდებლობა მესამე მოსმენით 17 სექტემბერს მიიღო.[126] სიძულვილის პოლიტიკა, ცხადია, იწვევს მძიმე შედეგებს, რაც შემდგომ გამოიხატება სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობაშიც. ანტი-ლგბტ კანონის მიღებიდან მეორე დღეს ცნობილი ქართველი ტრანსგენდერი ქალი, 37 წლის კესარია აბრამიძე საკუთარ ბინაში სასტიკად მოკლული იპოვეს.[127] სახალხო დამცველის განცხადებით: „ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიძულვილისა და გენდერული იდენტობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიმართ სამართალდამცავი ორგანოების და საზოგადოების რეაგირება განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს“[128] შემთხვევას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტიც: „საზარელი მკვლელობა! ადამიანურობის უარყოფა! ეს თუ გამოაფხიზლებს

[124] რადიო თავისუფლება; „გამოსახლება ყველაზე ცივ დილას - როგორია საქართველოში გამოსახლების პოლიტიკა“; 26.01.2024; იხ. ბმული
[125] სამოქალაქო პლატფორმა “არა-ფობიას!” განცხადება ადიგენში რელიგიის თავისუფლების ხელყოფის ფაქტზე; 11.03.2024; იხ. ბმული
[126] Civil.ge; „პარლამენტმა ანტი-ლგბტ კანონმდებლობა მესამე მოსმენით მიიღო”; 17.09.2024; იხ. ბმული
[127] Civil.ge; „ტრანსგენდერი ქალის მკვლელობას მწვავე პროტესტი მოყვა“; 19.09.2024; იხ. ბმული
[128] ლევან იოსელიანის განცხადება; იხ. ბმული

ჩვენ საზოგადოებას... სიძულვილში ჩაფლული, სიძულვილი, რომელიც მტერს აძლევს ყველა მანიპულაციის საშუალებას, რომელიც გვასუსტებს და გვაცალკაცებს. ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სიკვდილი ჩვენ გაადამიანურებას და გაქრისტიანებას მაინც გამოადგეს... ტყუილად არ ჩაიაროს ამ ტრაგედიამ !".[129]

VII. ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ

2024 წლის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რეგიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. რუსეთის მიერ ანექსია და პოლიტიკური კონტროლის გაძლიერება კიდევ უფრო ზრდის შეზღუდვებს მოქალაქეთა უფლებებზე. აფხაზეთსა და ცხინვალში ადამიანის უფლებების დაცვა არ წარმოადგენს დე ფაქტო ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებას, ასევე მოხდა დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული მედიის გაქრობა. ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის სრულფასოვანი შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან ვერ ხერხდება ამ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლა და იქ არსებული ვითარების ჯეროვანი მონიტორინგი, მეტიც, იქ კიდევ უფრო დამძიმდა საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო გარემო. უფლებრივი მდგომარეობის ადგილზე შეფასების სირთულე ადასტურებს ოკუპაციის ზონაში მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.[130]

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები 2024 წელს იმყოფებოდნენ დუშეთის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივების მოსანახულებლად. სოფლებში მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა. ოკუპაციის გამო, მოსახლეობა მხოლოდ შეზღუდულად სარგებლობს სასოფლო-სამეურნეო მიწებით. ასევე, მათ აქვთ ინფრასტრუქტურული პრობლემები.[131]

[129] საქართველოს პრეზიდენტის განცხადება; იხ. ბმული

[130] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი; „ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზთან"; 2024; იხ. ბმული

[131] ადამიანის უფლებათა ცენტრი; გიორგი კაკუბავა; „სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და საჭიროებების კვლევა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში"; 2024; იხ. ბმული

გრძელდება საოკუპაციო ხაზთან მოსახლეობის მუდმივი დაშინება, შევიწროება, გატაცება და მკვლელობა.[132] 2024 წლის 9 თვეში საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ საქართველოს 58 მოქალაქე დააკავეს.[133] წლის ბოლო შემთხვევა 2024 წლის 26 დეკემბერს მოხდა, როცა რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნიქოზის მიმდებარედ უკანონოდ დააკავეს საქართველოს ორი მოქალაქე.[134]

VIII. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა

საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის" სადავო კანონის მიღების შემდეგ, ევროკავშირმა უვიზო მიმოსვლის შეჩერებაზე დაიწყო ფიქრი მაშინ, როცა ევროკომისიის მიერ გაიცა უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია.[135] ამ გადაწყვეტილებებს წინ მრავალი ფაქტორი უძღოდა.

2024 წელს განსაკუთრებით მოზღვავდა დეზინფორმაცია საქართველოში იმის შესახებ თუ რას ნიშნავს გახდე ევროკავშირის წევრი. რეალურად კი კულტურული იდენტობის შენარჩუნება, რასაც დეზინფორმაცია ეხებოდა, არასდროს დამდგარა კითხვის ქვეშ. დეზინფორმაცია ვრცელდებოდა შეერთებული შტატების საქართველოსთან ურთიერთობის თემაზე. აშშ-ის ელჩმა განაცხადა: „ზოგი ამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ გლობალური ომის პარტია.“[136] რაც „არავისთვისაა სასარგებლო.“[137]

30 ოქტომბერს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ყოველწლიური გაფართოების ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს „უმნიშვნელო“ წინსვლა აქვს. ეს განცხადება ხელისუფლებამ 31 ოქტომბერს ბრიფინგზე უტრირებულად გამოიყენა, რასაც პასუხი სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა გასცეს,

---

[132] მთავარი არხი; საქართველოს პრეზიდენტის განცხადება; იხ. ბმული

[133] On.ge; „2024 წლის 9 თვეში საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ საქართველოს 58 მოქალაქე დააკავეს“; 17.10.2024; იხ. ბმული

[134] მთავარი არხი; „ოკუპანტებმა ქვემო ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიიდან საქართველოს 2 მოქალაქე გაიტაცეს“; 26.12.2024; იხ. ბმული

[135] რადიო თავისუფლება; ევროკომისია უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაციით გამოდის; 07.06.2024; იხ. ბმული

[136] აშშ-ის საელჩო საქართველოში; ელჩ რობინ დანიგანის სიტყვა „მეხსიერების პროექტის" გახსნაზე 14.06.2024; იხ. ბმული; ასევე, აშშ-ის საელჩო საქართველოში; ელჩ რობინ დანიგანის კომენტარი მედიასთან სამეგრელოში 01.08.2024; იხ. ბმული

[137] აშშ-ის საელჩო საქართველოში; ელჩ რობინ დანიგანის კომენტარი მედიასთან სამეგრელოში’ 18.09.2024; იხ. ბმული

რომ საქართველოს წინსვლა ევროკავშირისკენ შეჩერებულია, რისი მიზეზიც ქვეყანაში დემოკრატიისა და ფუნდამენტური უფლებების თვალსაზრისით უკან გადადგმული ნაბიჯებია.[138]

დღის წესრიგში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, იგივე - რუსული კანონის შემოღებამ[139] გამოიწვია საქართველოს დასავლეთის კურსიდან გადახვევა, ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების ხელშეშლა და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ წასვლა.[140] საქართველოს ევროინტეგრაციისკენ წინსვლა 2024 წელს დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო, მათ შორის, ეს საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მთავარ ღერძსაც წარმოადგენდა.[141]

სამწუხაროდ, ევროკომისიის 9 დათქმის საწინააღმდეგოდ[142] ქვეყანაში იმატა დეზინფორმაციამ, გაღრმავდა პოლიტიკური პოლარიზაცია, არ განხორციელდა სასამართლო რეფორმა, უკუსვლა იყო ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით და, მათ შორის, ვერ მოხერხდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება. შედეგად, ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების შედეგებს ბოიკოტი გამოუცხადეს. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არჩევნების აღიარება უთანაბრდებოდა საქართველოს რუსეთის მიმართ დაქვემდებარების აღიარებას.[143] თუმცა, ამ პირობებშიც კი, ეგრეთ წოდებულმა პარლამენტმა 2024 წლის დეკემბერში მთელი რიგი ახალი კანონები მიიღო, რომელიც ადამიანის უფლებებს სრულად ეწინააღმდეგება.[144]

საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისთვისაც კი ეჭვქვეშ დადგა საქართველოს მთავრობის დასავლეთის კურსისადმი ერთგულება მას შემდეგ, როცა 28 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრმა ევროკავშირისკენ სვლის 4 წლით შეჩერების თაობაზე გააკეთა განცხადება.[145] ამ ყოველივეს, მასობრივი

---

138 რადიო თავისუფლება; საქართველო ევროპულ გზაზე წინ არ მიდის" - ევროპელმა ელჩებმა "ქართულ ოცნებას" უპასუხეს 31.10.2024; იხ. ბმული

139 აშშ-ის საელჩო საქართველოში; განცხადება საქართველოს კანონპროექტთან დაკავშირებით 05.04.2024; იხ. ბმული; ასევე, აშშ-ის საელჩო საქართველოში; სახელმწიფო მდივნის მოადგილე სამოქალაქო უსაფრთხოების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, ეზრა ზეია 12.07.2024; იხ. ბმული

140 აშშ-ის საელჩო საქართველოში; ელჩი დანიგანის განცხადება; 02.05.2024; იხ. ბმული

141 ერთობლივი განცხადება; „სამოქალაქო პლატფორმის მშვიდობისათვის განცხადება; 07.12.2024; იხ. ბმული

142 რადიო თავისუფლება; „რას მოიცავს 9 დათქმა - ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა“;08.11.2024; იხ. ბმული

143 Forbes; 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები; 28.10.2024; იხ. ბმული

144 საქართველოს სახალხო დამცველი; „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება განხორციელებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე“; 13.12.2024; იხ. ბმული

145 აშშ-ის საელჩო საქართველოში; აშშ-ის ელჩის რობინ დანიგანის განცხადება; 29.11.2024; იხ. ბმული

საპროტესტო აქციები და საპოლიციო ძალების მიერ უფლებამოსლების გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებიც დაემატა.

IX. საერთაშორისო გამოხმაურება საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

- საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე

უამრავი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაცია - Amesty International, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა და დაგმო საპროტესტო აქციებზე პოლიციის ძალადობრივი მოქმედებები, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, პოლიტიკური მოტივით დევნა, ჟურნალისტებზე თავდასხმა და ა.შ. ორგანიზაციამ ხელისუფლებას ძალადობის შეწყვეტისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისკენ, ასევე დაკავებული პირების გათავისუფლებისკენ მოუწოდა.[146]

ასევე, საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა არაერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კრიზისის გაღრმავებას, რაც გამოწვეულია, მათ შორის, საპროტესტო აქციებზე ძალადობით, რეპრესიებით, თვითნებური დაკავებებით და ა.შ. ორგანიზაციამ ევროკავშირს ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლებების ეროზიის გამო სანქციების დაწესებისკენ მოუწოდა.[147]

- უფლება თავისუფალ არჩევნებზე

2024 წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ წინასაარჩევნო გარემო ხასიათდებოდა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებით,

[146] Amnesty International; „Georgia: Police committing shocking human rights violations amid ongoing crackdown on protesters"; 13.12.2024; იხ. ბმული; Amnesty International; „Georgia: Protesters face arrests, abuse and denial of fair trial rights"; 12.12.2024; იხ. ბმული; Amnesty International; „Georgia: Police actions in Tbilisi amount to yet another punitive assault on freedom of peaceful assembly"; 29.11.2024; იხ. ბმული; მეტი ინფორმაციისთვის: Amnesty International; „Human rights in Georgia"; 2024; იხ. ბმული

[147] Human Rights Watch; „Georgia's Human Rights Crisis Deepens Amid Mass Protests"; 10.12.2024; იხ. ბმული

ხმების მოსყიდვითა და ამომრჩევლის დაშინებით, რამაც ხელი შეუშალა თანასწორი პირობების შექმნას და შეარყია საერთაშორისო საზოგადოების ნდობა სამართლიანი შედეგის შესაძლებლობის მიმართ.[148]

ეუთო/ოდირმა 2024 წლის 20 დეკემბერს გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შესახებ. სადაც აღნიშნულია, რომ არჩევნები კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ის ჩატარდა ფუნდამენტური თავისუფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ახლად მიღებული კანონმდებლობის გავლენის, საარჩევნო პროცესში ჩართული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის შესუსტების და ამომრჩევლებზე ზეწოლის შემაშფოთებელ ფონზე. ამან განაპირობა ზოგიერთი ამომრჩევლის შეზღუდვა და შურისძიების შიშის გარეშე ხმის მიცემისთვის ხელშეშლა. ამას დაემატა, რომ კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში დაწერილი საჩივრები არ განიხილებოდა საფუძვლიანად. სამართლებრივი დაცვის საშუალებების შეზღუდვამ - საჩივრების უარყოფამ, ძირი გამოუთხარა პროცესის გამოსწორების შესაძლებლობას. მეტიც, არჩევნების შემდეგ გამართული მასობრივი საპროტესტო აქციები ძალადობრივად დაიშალა მრავალი დაპატიმრებისა და მომიტინგეთა მიმართ გამოვლენილი სასტიკი მოპყრობის ფონზე, რაც შემაშფოთებელია ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაშიც.[149]

- სანქციები

2024 წლის განმავლობაში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრა, ადამიანის უფლებების დარღვევა, მიკერძოებული სასამართლო და დეზინფორმაცია ქვეყანაში განვითარებული ის მოვლენებია, რომელსაც ცივილიზებული სამყაროდან შესაბამისი ზომების გატარება მოჰყვა.[150]

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საქართველოს მმართველი პარტიის ლიდერები დასანქცირებულნი არიან აშშ-დან და ევროკავშირიდან, დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრისა და ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. თავდაპირველად აშშ-ის მიერ დაწესებული

---

[148] აშშ-ის საელჩო საქართველოში; აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადება 27.10.2024; იხ. ბმული

[149] Following Georgia's elections, ODIHR reiterates concerns over pressure on voters and independence of state institutions and calls for concrete action; 20.12.2024; იხ. ბმული; ასევე, რადიო თავისუფლება; ეუთო/ODIHR-მა საპარლამენტო არჩევნებზე საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა; 20.12.2024; იხ. ბმული

[150] აშშ-ის საელჩო საქართველოში; ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ქართველ ხალხს; 04.12.2024; იხ. ბმული; აშშ-ის საელჩო საქართველოში; გრძელდება სავიზო შეზღუდვების დაწესება იმ პირების მიმართ, ვინც საქართველოში დემოკრატიას ძირს უთხრის 12.12.2024; იხ. ბმული; აშშ-ის საელჩო საქართველოში; სანქციების დაწესება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიმართ, რომლებიც ჩართული იყვნენ საპროტესტო აქციების მონაწილეთა წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში 19.12.2024; იხ. ბმული; აშშ-ის საელჩო საქართველოში ; „ქართული ოცნების" დამაარსებლის, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება; 27.12.2024; იხ. ბმული; რადიო თავისუფლება; „რით დაიწყო და როგორ გაგრძელდა "ოცნების" დასჯა - ყველაფერი ერთად სანქციებზე"; 18.12.2024; იხ. ბმული

სავიზო შეზღუდვები 2023 წელს მოსამართლეებს, 2024-ში კი „ქართული ოცნების“ ათობით წარმომადგენელსა და მათი ოჯახის წევრებს შეეხო. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ დაასანქცირა და გლობალურ „მაგნიტსკის სიას“ დაამატა თანამდებობის პირები. ასევე, საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა სანქციების მორიგი ეტაპი აშშ-დან და ისტორიაში პირველად - ევროკავშირიდან. 16 დეკემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელები დაასანქცირეს და ევროპასთან უვიზო რეჟიმი შეუჩერეს. ასევე, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და უკრაინამ პერსონალური სანქციები დაუწესეს ბიძინა ივანიშვილს, „ქართული ოცნების“ ლიდერებს და მინისტრებს. ევროკავშირის ერთიანი სანქციები მხოლოდ უნგრეთმა და სლოვაკეთმა დაბლოკა.[151]

[151] რადიო თავისუფლება; „2024-ის ათეული - წლის ყველაზე დასამახსოვრებელი ამბები“; 28.12.2024; იხ. ბმული